პროლეტარიელებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

სკკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 13 აპრილი, 1943 წ. № 84 (6709). ფასი 20 კაპ.

პროფორგანიზაციების საბრძოლო ამოცანები

ხამამულო ომის გიგანტურ ფრონტზე წითელი არმია გმირულად იბრძვის გერმანელი ფაშისტი ავაზაკების წინააღმდეგ. ფრონტისა და ზურგის ურღვევ საბრძოლო ერთიანობაში იუდება ვერაგ მტერზე ჩვენი გამარჯვება. ზურგი დღითი-დღე აძლიერებს დახმარებას წითელი არმიისადმი. დიდმა მხედართმთავარმა ამხანაგმა სტალინმა სოციალისტური მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის მუშაობას სამამული ომის ვითარებაში მაღალი შეფასება მისცა. ამ შეფასებით აღფრთოვანებულმა მუშებმა, კოლმეურნეებმა, ინტელიგენციამ კიდევ უფრო გაძლიერეს ფრონტისადმი დახმარება. ბელადის მოწოდებამ მთელ საბჭოთა ხალხში მძლავრი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობა გამოიწვია.

ზურგის საბრძოლო ამოცანების წარმატებით შესრულებაში დიდი როლი აკისრიათ პროფორგანიზაციებს. ეს ამოცანები ღრმად, საფუძვლიანად, ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით განიხილა გუშინ ჩატარებულმა თბილისის პროფკავშირული ორგანიზაციების აქტივის კრებამ.

იმისათვის, რომ ფრონტმა მიიღოს სულ უფრო და უფრო მეტი იარაღი, საომარი მასალა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, საჭიროა გეგმების არა მარტო შესრულება, არამედ გადაჭარბებით შესრულება. ომიანობის დროის სტახანოველთა პატრიოტული საქმეები, ხუთასოვნებისა და ათასოვნების გმირული მუშაობა მკაფიო გამოხატულებაა საბჭოთა ადამიანების ერთსულოვანი გადაწყვეტილებისა — ყველაფერი გააკეთონ სოციალისტური სამშობლოს დასაცავად და ჰიტლერელი ვანდალების გასანადგურებლად. ქარხანამ, სადაც დირექტორად არის ამხ. სარიშვილი, გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის 1943 წლის მარტში მეორე ადგილი დაიკავა სრულიად-საკავშირო სოცშეჯიბრებაში. ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის საორთქლმავლო მეურნეობის პირველ განყოფილებას (სამტრედია) გადაეცა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტისა და გზათა სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა. ათეულობით ქარხნები და მრეწველობის მთელი რიგი დარგები გადიდებულ გეგმებს წარმატებით ასრულებენ, ასრულებენ გადაჭარბებით. მრავალად შეიძლება დავასახელოთ ადამიანები, რომლებიც 5-6 დაზგას უწევენ მომსახურებას და გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ. ამ საწარმოო წარმატებებში გამოხატულია პროფკავშირების მუშაობაც. პროფორგანიზაციები ხელს უწყობენ სტახანოვური მოძრაობის შემდგომ გაძლიერებას, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას, მასში ყველა მუშა-მოსამსახურის ჩაბმას, ნაკისრ საწარმოო ვალდებულებათა შესრულებას, ახალი მუშების საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლებას, სოცშეჯიბრების ინდივიდუალური და კოლექტიური ხელშეკრულებების გაფორმებას, რაციონალიზატორული აზრისა და გამომგონებლობის ფართოდ დანერგვას. საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები იბრძვიან შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის. ისინი ვალდებულნი არიან თვალყური ადევნონ იმას, რომ შრომის დისციპლინის დამრღვევი სათანადოდ ისჯებოდეს. საჭიროა არა მარტო გამოვლინო მოწინავე ან ჩამორჩენილი, არამედ შეისწავლო პირობები, მოწინავეთა გამოცდილება გახადო მასების კუთვნილებად.

არიან ისეთი საფაბრიკო და საქარხნო კომიტეტები, რომლებიც ფორმალურად ეკიდებიან სოციალისტური შეჯიბრების გაშლის საქმეს (სამკერვალო ფაბრიკები № 7, № 2). ზოგან კი შეჯიბრების ხელშეკრულებებს ისე ადგენენ, რომ იქ სამსახურებრივი მოვალეობაც კი ვალდებულებებში შეაქვთ (ქარხანა, სადაც ქარხკომის თავმჯდომარეა ამხ. ეგორაშვილი). ამ და მთელ რიგ სხვა ნაკლოვანებებს პროფორგანიზაციების მუშაობაში ბოლო უნდა მოეღოს. საჭიროა 1 მაისს—მუშათა კლასის ამ საერთაშორისო დღესასწაულს შევხვდეთ ახალი საწარმოო გამარჯვებებით სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირულ ორგანიზაციებს დაავალა მიაღწიონ სავაჭრო ორგანიზაციების, მუშათა მომარაგების განყოფილებებისა და საზკვების საწარმოების მუშაობის ძირფესვიანად გაუმჯობესებას, უზრუნველჰყონ სასურსათო და სამრეწველო საქონლის ფონდების სწორი განაწილება და გამოყენება. პროფკავშირებს დავალებული აქვთ განახორციელონ საზოგადოებრივი კონტროლი სავაჭრო ბაზების, მაღაზიების, სასადილოებისა და ბუფეტების მუშაობაზე. მაგრამ ბევრგან საზოგადოებრივი კონტროლიორები ჯერ კიდევ არ გამოუყვიათ. საზკვების მუშაკთა პროფკავშირული ორგანიზაციების მიერ გამოყოფილმა საზოგადოებრივმა კონტროლიორებმა ამხ. ტყეშელაშვილმა, ჩხაიძემ, ბელოდედოვამ, ხარატურაგამ არ იციან რა უნდა გააკეთონ, ვინაიდან მათთვის ინსტრუქტაჟი არ გაუწევიათ. ეს არ შეიძლება. საზოგადოებრივ კონტროლიორებად მოწინავე, შეგნებული, საქმის მცოდნე ადამიანების გამოყოფასთან ერთად საჭიროა მათი ინსტრუქტირება და ზუსტი გარკვევა, თუ რა და როგორ უნდა გააკეთონ. პროდუქტებისა და სამრეწველო საქონლის დატაცების წინააღმდეგ ბრძოლა, ფასებისა და ზომა-წონის დაცვა, სისუფთავე სასადილოებსა, ბუფეტებსა, მაღაზიებსა და საწყობებში—ყველა ეს საკითხი საზოგადოებრივი კონტროლიორების ფუნქციებში შედის. საჭიროა დროული რეაგირება საზოგადოებრივი კონტროლიორების მასალებზე და არა ისეთი „გამოხმაურება", როგორც „თბილპურვაჭრობის" დირექტორს ამხ. ჩხენკელს სჩვევია—მას 16 აქტი ხელთა აქვს და დღემდე არავითარი ზომები არ მიუღია. ამ მხრივ სერიოზული მუშაობა მართებთ სასამართლო-პროკურატურის პროფკავშირულ ორგანიზაციებსაც.

მუშა-მოსამსახურეთა კვების გაუმჯობესების საქმეში დიდ როლს ასრულებენ დამხმარე მეურნეობები და ინდივიდუალური ბოსტნები. მარტო თბილისის 100 საწარმო-დაწესებულებას 1942 წელს დამხმარე მეურნეობა 700 ჰექტარზე ჰქონდა. დიდ წარმატებას მიაღწიეს და მაღალი მოსავალი მიიღეს დამხმარე მეურნეობებმა: იმ ქარხნისა, სადაც დირექტორად არის ამხ. სალაძე, № 3 ფეხსაცმლის ფაბრიკისა, იმ ქარხნისა, რომლის დირექტორია ამხ. ჭიჭინაძე, ბეჭვდითი სიტყვის კომბინატისა და სხვ. მაგრამ თბილისის დეპოს, № 1 სამკერვალო ფაბრიკის, იმ ქარხნის, რომლის დირექტორი ამხ. მეტრეველია—დამხმარე მეურნეობებში ვერ უზრუნველჰყვეს ნათესების მოვლა-დამუშავება, აგროტექნიკური ღონისძიებათა გატარება, რამაც ზიანი მიაყენა მაღალი მოსავლის მიღების საქმეს. პროფორგანიზაციებმა მასობრივი კონტროლი უნდა განახორციელონ დამხმარე მეურნეობათა მუშაობაზე, ამასთან გადამწყვეტი ბრძოლა უნდა აწარმოონ იმისათვის, რომ სასაქონლო პროდუქციის მაქსიმუმი მუშათა მომარაგების განყოფილებებსა და მაღაზიებში მიდიოდეს საწარმოთა მუშა-მოსამსახურეების მოსამარაგებლად. პროფორგანიზაციებმა უნდა უზრუნველჰყონ მუშა-მოსამსახურეთა ფართო მასების ჩაბმა ინდივიდუალურ და კოლექტიურ მებოსტნეობაში და შეასრულონ ამ საკითხზე ამხ. შვერნიკის მოხსენების გამო საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება.

ფრონტისადმი ყოველმხრივი დახმარების გაძლიერებასთან ერთად, საბჭოთა თავგრობა ყოველღიურად ზრუნავს ფრონტელთა ოჯახებისათვის. ომის განმავლობაში საქართველოს სს რესპუბლიკაში ფრონტელთა ოჯახებზე სახელმწიფო დახმარებისა და პენსიის სახით გაცემულია 285 მილიონი მანეთი. პატრიოტული აღმავლობით ჩაიარა ფრონტელთა ოჯახებისადმი დახმარების კვირეულმა. ამ მხრივ გარკვეული მუშობა ჩაატარეს თბილისის მთელ რიგ საწარმოთა პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა. ასეთია, მაგალითად, აბრეშუმსაქსოი ფაბრიკა, ხორცკომბინატი, ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკა, ქარხნები, რომელთა დირექტორები არიან ამხ. სარიშვილი და მეტრეველი და სხვ. მაგრამ არის ნაკლიც. ამ მხრივ სერიოზული ნაკლოვანებები აქვთ ზოგიერთი რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, სოცუზრუნველყოფის ორგანოებს, სასამართლოს, პროკურატურის, მილიციის ცალკეულ რგოლებს. პარტიული, პროფკავშირული და საბჭოთა ორგანიზაციები ვალდებული არიან ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ წითელი არმიის მებრძოლთა და მეთაურთა ოჯახებს სახელმწიფო უზრუნველყოფისა და საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში.

ეს საბრძოლო ამოცანები პროფკავშირმა წარმატებით რომ შეასრულოს, საჭიროა მას სანიმუშოდ ჰქონდეს დაყენებული ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა. პროფკავშირულ მუშაობაში რაც შეიძლება ფართოდ უნდა იყვნენ ჩაბმულნი მუშა-მოსამსახურეები. პროფკავშირში ახალ წევრთა ჩაბმას კი პროფკავშირის ბევრი რესპუბლიკური კომიტეტი და საფაბრიკო-საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტი სათანადო ყურადღებას არ აქცევს. საჭიროა ფართოდ გაიშალოს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა. სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს საწევრო ანარიცხების თავის დროზე შეტანას, პროფკავშირული მეურნეობის მოწესრიგებას, კრებების მომზადებულად ჩატარებას, დადგენილებათა შესრულების შემოწმებას. პარტორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ პროფკავშირებისადმი ხელმძღვანელობა. პროფორგანიზაციების მთელი მუშაობის შემდგომი გაძლიერებით უნდა უზრუნველვყოთ სამამულო ომის ვითარებაში მათ წინაშე დასახული საბრძოლო ამოცანების წარმატებით შესრულება.

ამხ. ი. ბ. სტალინმა მიიღო ბრიტანეთის სამხედრო მისიის მეთაური, გენერალ-ლეიტენანტი მარტელი

12 აპრილს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ი. ბ. სტალინმა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ამხ. ვ. მ. მოლოტოვის თანდასწრებით მიიღო მეთაური ბრიტანეთის სამხედრო მისიისა სსრ კავშირში, გენერალ-ლეიტენანტი გ. მარტელი. მიღებას დაეს რო დიდი ბრიტანეთის ელჩი ბ-ნი ა. ჯ. კ. ი.

ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო მექსიკის ლესპანი ბ-ნი ლ. კინტანილა

10 აპრილს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო მექსიკის საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი სსრ კავშირში ბ-ნი ლ. კინტანილა.

ქალაქ თბილისის პროფკავშირული ორგანიზაციების აქტივის კრება

გუშინ რუსთაველის სახელობის თეატრში შეიდგა ქალაქ თბილისის პროფკავშირული ორგანიზაციების აქტივის კრება.

კრების პრეზიდიუმში არიან ამხანაგები: კ. ჩარკვიანი, გ. სტურუა, მ. ბარამია, ა. რაფავა, ს. იშხანოვი, ე. ჩერქეზია, კ. ბარიგიანი, მ. ჩუბინიძე, ა. კვაჭაძე, ზ. კეცხოველი, გ. გოჩაშვილი, ვ. ლოლაძე, ნ. ბაიდაშვილი, დ. ხანთაძე, გ. რობაქიძე, გ. ლუარსაბოვი, თ. ქვლივიძე, კ. ხოშტარია, პროფკავშირთა ცენტრალური და რესპუბლიკური კომიტეტების თავმჯდომარეები ამხ. გიორგობიანი, შალმინიანი, გეგეშიძე, გაბეფდავა, გვინჩიძე, ჭყონია, იმედაძე და პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციების სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

აქტივის კრება გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ე. ჩერქეზიამ.

წონადადებისათვის სიტყვას იღებს საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მდივანი ამხ. ვ. ლოლაძე.

ამხ. ლოლაძეს წონადადება შემოაქვს არჩეულ იქნას სამპატიო პრეზიდიუმი, რასაც კრების მონაწილენი მქუხარე ტაშით ხვდებიან.

— დიდი სტალინი!

დარბაზი აღფაცებული, ხანგრძლივი ოვაციით ხვდება ჩვენი სამშობლოს შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდალს, საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის მშობლიურ და საყვარელ სახელს.

კრება უდიდესი აღფრთოვანებით ერჩევს საპატიო პრეზიდიუმში ფრეთევე ამხანაგებს მოლოტოვს, კალინინს, კაგანოვიჩს, ვოროშილოვს, ანდრეევს ედანოვს, მიკოიანს, ხრუშჩოვს, ბერიას, შვერნიკს, მალენკოვს, შჩერბაკოვს, ვოზნესენსკის.

მოხსენებისათვის სამამულო ომის დღეებში პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ სიტყვა ეძლევა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. მ. ბარამიას, რომელსაც ტაშით შეხვდნენ.

დიდი ფაქტიური მასალით მდიდარ თავის მოხსენებაში ამხ. ბარამიამ მოგვცა ფართო სურათი თბილისის პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობისა ომის დღეებში და მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ამოცანები დასახა პროფკავშირული აქტივის წინაშე.

— ხალხის მთელი ძალები,—ამბობს ამხ. ბარამია,—ჩვენი ქვეყნის ყველა რეაურსები მობილიზებულ უნდა იქნას ფრონტის დასახმარებლად. აქედან გამომდინარეობს, უალრესად სერიოზული ამოცანები, რომლებიც დგას ამჟამად ჩვენი პროფკავშირული ორგანიზაციების წინაშე.

მომხსენებელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პირველ რიგში უნდა გაძლიერდეს პროფორგანიზაციების როლი წინასამაისო სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის საქმეში. წინასამაისო სოცშეჯიბრება თბილისის საწარმოებში დიდი პატრიოტული აღფრთოვანებით ჩაღდება. იმ ქარხნებმა, სადაც დირექტორებად არიან ამხ. სალაძე, ხითარიშვილი, ჭიჭინაძე, მელაძე, ბიჩენკო, სარიშვილი, აგრეთვე ბერიგა და სხვა საწარმოებმა შეჯიბრების მსვლელობაში პირველ სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს. იზრდება წარმოების მოწინავეთა—სტახანოველთა და დამკვრელთა რიგები. მაგრამ ჯერ კიდევ ყველგან არ არის მიღწეული შეჯიბრების ნამდვილი მასობრივი გაქანება. მუშებისა და მუშა ქალების ნაწილი ჯერ კიდევ არ არის ჩაბმული შეჯიბრებაში, მაგალითად, № 2 და № 7 სამკერვალო ფაბრიკებში, ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოში და სხვ. ეს პროფკავშირული ორგანიზაციების სუსტი მუშაობის მაჩვენებელია. არ უნდა დარჩეს არც ერთი მუშა, რომელიც შეჯიბრებაში არ იყოს ჩაბმული!—ასეთია ომიანობის დროის მოთხოვნა. და ეს მოთხოვნა თითოეულმა პროფკავშირულმა ორგანიზაციამ საფუძვლად უნდა დაუდოს მთელ თავის მუშაობას.

ამხ. ბარამია აღნიშნავს, რომ პროფორგანიზაციების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს ბრძოლა თითოეული მუშის, თითოეული მუშა ქალის მიერ ნორმების შესრულებისათვის. პროფკავშირული ორგანიზაციები უნდა დაეხმარონ თითოეულ მუშას მოწინავე გახდეს წარმოებაში, ღირსეულად შეასრულოს თავისი ვალდებულებანი, პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა განაზოგადონ მოწინავეთა გამოცდილება და უნარიანად გავრცელონ იგი, ისინი მომჭირნეობის რეჟიმის განხორციელებისათვის და საწარმოთა უმდიდრესი შინარესურსების ფართოდ გამოყენებისათვის ბრძოლის აქტიური მონაწილენი უნდა იყვნენ.

ამჟამად დიდია პროფორგანიზაციების როლი სამრეწველო და სასურსათო საქონლის დატაცებასთან და განიავებასთან ბრძოლაში. საზოგადოებრივი კონტროლი სავაჭრო ორგანიზაციების, სასადილოების, ბუფეტების, ბაზების მუშაობაზე უნდა გახდეს, როგორც ამას პარტია და მთავრობა მოითხოვენ, პროფკავშირთა სისტემაში ერთ-ერთ ადგილზე. მაგრამ პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების უმრავლესობას აქედან ყველა დასკვნა არ გამოუყვანია თავისათვის. მთელ რიგ საწარმოებში საზოგადოებრივი კონტროლიორები დღემდე არ არიან არჩეულნი. არჩეულ კონტროლიორთა ნაწილს ინსტრუქტაჟი არ გაწევია. მრავალრიცხოვანი ფაქტების საფუძველზე ამხ. ბარამია მკაცრად აკრიტიკებს სამართლოს, პროკურატურისა და მილიციის ორგანოებსაც სასურსათო და სამრეწველო საქონლის დატაცებასთან სუსტი ბრძოლისათვის.

მომხსენებელი დაწვრილებით ჩერდება საწარმოთა დამხმარე მეურნეობების მუშაობის და ინდივიდუალური მებოსტნეობის საკითხებზე. ამ მხრივ მიღწეული პირველი წარმატებანი. მაგრამ ეს წარმატებანი საკმარისი არ არის იმასთან შედარებით, რაც ამჟამად უნდა გაკეთდეს. ბევრი პროფკავშირული ორგანიზაცია (სამკერვალო ფაბრიკა № 1, ქარხანა, სადაც დირექტორად არის ამხ. მეტრეველი, ბამბის ფაბრიკა და სხვ.) ჯეროვან ინიციატივას არ ჩრენს ამ დიდ სახელმწიფოებრივ საქმეში.

ამხ. ბარამია ხაზგასმით აღნიშნავს სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის დახმარების გაწევის დარგში მუშაობის უდიდეს პოლიტიკურ მნიშვნელობას, ჩერდება მთელი რიგი პროფორგანიზაციების დადებითის გამოცდილებაზე და მკაცრად აკრიტიკებს იმათ, ვინც ამ საქმეს კამპანიის წესით უდგება.

სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის დახმარების გაწევის პირველი დასაფასებელი გამოცდილება, რაც თბილისში დაგროვდა, უნდა გავაფართოოთ და კიდევ უფრო გავამდიდროთ, უნდა გავხადოთ პროფორგანიზაციების განსაკუთრებული მზრუნველობის საგნად.

დასასრულ ამხ. ბარამია შეეხო პროფკავშირთა ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის საკითხებს და ხაზგასმით აღნიშნა იმის საჭიროება, რომ ახალ სიმაღლეზე იქნას აყვანილი ამ მუშაობის დონე და ხარისხი.

— თბილისისა და მთელი საქართველოს პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, — ამთავრებს ამხ. ბარამია თავის მოხსენებას,—ღირსეულად უნდა შეასრულონ მათზე დაკისრებული ამოცანები, მებრძოლურად უნდა დარაზმონ მასები კიდევ უფრო თავდადებული მუშაობისთვის გმირი წითელი არმიის დასახმარებლად, გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა სრული, განადგურებისათვის საბრძოლველად.

მოხსენებამ გაცხოველებული საქმიანი კამათი გამოიწვია. კრებაზე სიტყვებით გამოსული პროფკავშირულ, პარტიულ და სამეურნეო ორგანიზაციათა მუშაკები დამსწრეთ უზიარებდნენ თავის გამოცდილებას, ამხილებდნენ ნაკლოვანებებს, სახავდნენ მუშაობის შემდგომი გაშლის გზებს.

კამათში გამოვიდნენ ამხ. შალომიანი, იმედაძე, თუშიშვილი, ციცაგი, იაკობსონი, კოლასონია, ხანთაძე, სტატნიკოვი, გეგეშიძე, ნეფარიძე.

წინასამაისო სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობაში მთელმა რიგმა პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ადგილებზე უკვე დააგროვეს ძვირფასი გამოცდილება. აქტიური ცხოვრებით ცხოვრობს, მაგალითად, იმ ქარხნის პროფკავშირული ორგანიზაცია, სადაც დირექტორად არის ამხ. სალაძე.

— ჩვენი ქარხნის კოლექტივს,—ამბობს ამხ. სტატნიკოვი,—უკვე ორჯერ, თებერვალსა და მარტში, უკავია მეორე ადგილი სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ქარხანაში სტახანოველთა რიცხვი უკანასკნელი თვის განმავლობაში შესამჩნევად გადიდდა. სტახანოველმა ამხ. მენაბდაშვილმა, მაგალითად, ნორმა შეასრულა 6,750 პროცენტით, ამხ. ბობორიკინმა—2.285 პროც. ამხ. თიბილაშვილმა—1.850 პროც. და სხვ. ქარხკომი შეჯიბრების მოწინავეთა გამოცდილებას პოპულარიზაციას ეწევა სპეციალური ფურცლებით, პლაკატებით, ვიტრინებით. უკანასკნელ ხანს ქარხკომმა განიხილა ახალგაზრდა მუშების სწავლების მიმდინარეობა, რამაც ხელი შეუწყო ახალმოსულთა ზრდას.

წინასამაისო შეჯიბრებაში მიღწეული პირველი წარმატებებისა და შეჯიბრების ხელმძღვანელობაში პროფორგანიზაციის გაზრდილი როლის შესახებ ილაპარაკა სტალინის სახელობის ქარხნის პარტკომის მდივანმა ამხ. ნეფარიძემ.

— ქარხნის პროფორგანიზაცია აქტიურად ჩაუდგა სათავეში მოწინავე უბნების ბრიგადას ქარხნის გარდამავალი წითელი დროშისათვის,—ამბობს იგი.—მაგრამ მარტო ამაში როდი მდგომარეობს შეჯიბრების ხელმძღვანელობის დედაარსი. საჭიროა, რომ პროფორგანიზაციამ მიაღწიოს კოლექტივის ასპროცენტიან მონაწილეობას შეჯიბრებაში, რომ თითოეული სოციალისტური ხელშეკრულება კონკრეტული იყოს და წარმატებით სრულდებოდეს.

სიტყვით გამოსული ამხანაგების უმრავლესობა დაწვრილებით ჩერდებოდა საზოგადოებრივი კონტროლიორების მუშობის საკითხებზე, სავაჭრო ორგანიზაციების მუშობის გაუმჯობესების საქმეში პროფკავშირული ორგანიზაციების დიდ როლზე.

საზოგადოებრივი კვების მუშაკთა კავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. შალმიანმა დამსწრეთ გაუზიარა გამოცდილება რეიდის ჩატარებისა, რომელიც შეეხო 49 საწარმოს, გამომჟღავნებულია სერიოზული ნაკლოვანებანი, მიღებულია ზომები ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. მაგრამ ამხ. შალმიანიც და სხვა ამხანაგებიც აღიარებენ, რომ რესპუბლიკური კომიტეტები ჯერ კიდევ სრულიად არასაკმარ ყურადღებას უთმობენ საზოგადოებრივი კონტროლიორების მუშაობას, რომ ბევრგან ეს კონტროლიორები ჯერ კიდევ არ არიან არჩეულნი.

თბილვაჭრობის დირექტორმა ამხ. კილასონიამ ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რაც ამჟამად ტარდება სამრეწველო და სასურსათო საქონლის დატაცება-განიავებასთან საბრძოლველად. მას მოჰყავს აგრეთვე ფაქტები ცალკეული სასამართლო ორგანოების ცუდი მუშაობისა, რომლებიც ჯეროვან ბრძოლას არ ეწევიან სავაჭრო ქსელში მოკალათებულ ქურდებთან და თაღლითებთან.

დამხმარე მეურნეობათა მუშაობის, ინდივიდუალური და კოლექტიური მებოსტნეობის საკითხები, სამხედრო მსახურთა ოჯახებისადმი დახმარების საკითხები ასახული იყო საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას სახელობის რაიკომის მდივნის ამხ. ხანთაძის, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ციცაგის, სახელმწიფო ვაჭრობის მუშაკთა კავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. გეგეშიძის, თბილისის სატრიკოტაჟო კომბინატის დირექტორის ამხ. თუშიშვილის და სხვა ამხანაგების გამოსვლებში. ყველაფერი, რაც კი გაკეთებულია ყველა ამ საკითხში, მხოლოდ დასაწყისია დიდი მუშაობისა, რასაც პროფკავშირებმა ამჟამად განსაკუთრებული ენერგიით უნდა მოჰკიდონ ხელი.

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს წარმომადგენელმა ამხ. იაკობსონმა თავისი სიტყვა მიუძღვნა ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის საკითხებს. აღნიშნა რა მთელი რიგი რესპუბლიკური კომიტეტების არაუსტეტ. უინიციატივო მუშობა, მან მიუთითა იმაზე, რომ მთელ რიგ ადგილებში სუსტად მიმდინარეობს ახალ წევრთა მიზიდვა პროფკავშირებში ახალგაზრდა მუშათა ხარჯზე, რომ საზოგადოებრივი კონტროლიორების არჩევის ხშირად ფორმალურად უდგებიან, რომ ზოგჯერ ცირკულარები სცვლიან უშუალო ცოცხალ მუშობას მასებთან.

პროფკავშირული აქტივის კრებამ ამხ. ბარამიას მოხსენების გამო მიიღო კონკრეტული ღონისძიებანი.

საბჭოთა დელეგაცია კუბაზე ამხ. ლიტვინოვმა რწმუნების სიგელები გადასცა კუბის პრეზიდენტს

ჰავანა, 9 აპრილი (საკადესი). ჰავანას მოვიდა რწმუნების სიგელების გადასაცემად, რომლებიც მას აკრედიტებს საბჭოთა დელეგატად კუბაზე, სსრ კავშირის ელჩი ა. შ. შტატებში ამხ. ლიტვინოვი. ამხანაგ ლიტვინოვს საპატიო ყარაული შეხვდა პრეზიდენტის სასახლეში მისვლისას, სადაც მან თავისი რწმუნების სიგელები გადასცა კუბის პრეზიდენტ ბატისტას. სიგელების გადაცემას დაესწრნენ საგარეო საქმეთა მინისტრი სანტოვენია და მისი მოადგილე მირანდა. პრეზიდენტმა ბატისტამ და ამხ. ლიტვინოვმა მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

პრეზიდენტის სასახლის წინ შეიკრიბა დიდძალი ხალხი, რომელიც მხურვალედ მიესალმებოდა საბჭოთა კავშირის პირველ დიპლომატიურ წარმომადგენელს კუბაზე. საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაზე კუბის დროშასთან ერთად ფრიალებდა საბჭოთა დროშა. კუბის გაზეთები ერთსულოვნად მიესალმებიან საბჭოთა კავშირსა და კუბას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას.

საბჭოთა სავაჭრო გემის ბრძოლა მზრის წყალქვეშა ნავთან

ვაშინგტონი, 9 აპრილი (საკადესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საააგენტო გადმოგვცემს, ა. შ. შტატების საზღვაო სამინისტრომ გვაცნობა, რომ ბანვრის დამდეგს საბჭოთა კავშირის პატარა სავაჭრო გემი ბრძოლას ეწეოდა მტრის წყალქვეშა ნავთან ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში. ბრძოლა ქარბუქის პირობებში ხდებოდა. წყალქვეშა ნავმა, ალბათ, ქარბუქით ისარგებლა როგორც საფარით და თავს დაესხა გემს წყლის ზედაპირზე. როდესაც გემის მესიგნალეებმა შეამჩნიეს წყალქვეშა ნავის მიერ გამოშვებული ტორპედის კვალი, გემი 300 გრადუსით მობრუნდა და ტორპედმა 10 მეტრზე ჩაუარა მას. სამი წუთის შემდეგ შემჩნეულ იქნა მეორე ტორპედი და გემი კვლავ მკვეთრად მიბრუნდა. მეორე ტორპედმა 15 მეტრზე ჩაუარა გემის ბოლოს. ამასობაში გემმა ტყვიამფრქვეველის სასტიკი სროლა ატეხა. ტყვიები მოხვდა წყალქვეშა ნავის საბრძოლო სალანს, სადაც ძლიერი აფეთქება მოხდა. ამის შემდეგ წყალქვეშა ნავმა ჩაყვინთა, საბჭოთა გემმა კი თავისი გზა განაგრძო.

გერმანიის ავიაციის თავდასხმა კურსკზე

11 აპრილს გერმანიის ავიაცია თავს დაესხა ქ. კურსკს. მტრის თვითმფრინავთა მეტი ნაწილი ჩვენი ავიაგამანადგურებლების მიერ და საზენიტო არტილერიის ცეცხლით გაფანტულ იქნა ქალაქის მისადგომებზე. ქალაქში შემოაღწია მოწინააღმდეგის რამდენიმე თვითმფრინავმა, რომლებმაც უწესრიგოდ ჩამოაყარეს ბომბები, რამაც ერთგვარი მატერიალური ზარალი გამოიწვია. არის მსხვერპლი.

საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა 9 თვითმფრინავი. ჩვენ დაკარგეთ 2 თვითმფრინავი, რომელთა მფრინავები პარაშუტებით გადარჩნენ.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსგან

12 აპრილის დილის ცნობა

11 აპრილის ღამის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

ბალაკლეის სამხრეთით მტერმა რამდენიმე იერიში მოიტანა. ჩვენმა ნაწილებმა ჰიტლერელები უკუაგდეს და მტკიცედ ინარჩუნებენ თავიანთ ზღუდეებს. არტილერიის ცეცხლით მოსპობილია მტრის 11 ავტომანქანა, დაგრეულია 3 ბლინდაჟი, ჩახშობილია 6 ქვემეხის ექვსლულიანი ნაღმსატყორცნის ცეცხლი, გაფანტულია და ნაწილობრივ მოსპობილია მტრის ორ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენი ნაწილები ბრძოლითს დაზვერვას ეწეოდნენ. ოცეულმა ამხ. ლიუბინის მეთაურობით ღამით მტრის განლაგებაში შეაღწია და იერიში მიიტანა მტრის სანგრებზე. ვრანატებითა და ავტომატების ცეცხლით მზვერავებმა მოსპეს 20 გერმანელი ჯარისკაცი და ერთი ოფიცერი, ხელთ იგდეს ტყვიამფრქვევი, შაშხანები და სხვა დაგლა.

* * *

ბელგოროდის რაიონში ჩვენი ქვეგანაყოფი ღამით მტრის სანგრებში შეიჭრა და დაიკავა ისინი. მოსპობილია 100-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. მტერს წაართვეთ 2 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, 7 ტყვიამფრქვევი, რამდენიმე ათეული შაშხანა და საომარი მასალა.

* * *

ყუბანში არტილერისტებმა ამხ. გლაგოლევისა და არშინცევის მეთაურობით დაანგრიეს მტრის 12 ბლინდაჟი და ძელშეწური და მოსპეს 22 საცეცხლე წერტილი. გვარდიელმა ნაღმტყორცნელებმა ცეცხლითა, თავდასხმა მოახდინეს გერმანელთა ქვეითი ჯარის დაჯგუფებაზე, გაჰფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს სამ ასეულამდე ჰიტლერელი.

* * *

მოგილიოვის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა ერთი თვის სიმტკიცე ... ...

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

11 აპრილის დილის ცნობა

10 აპრილის ღამის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

ბალაკლეის რაიონში საარტილერიო სროლა იყო ჩვენსა და მტერს შორის. ჩვენი არტილერიის ცეცხლით მოსპობილია მტრის საწამლმტყორცნი ბატარია, 6 ავტომანქანა, გაფანტული და ნაწილობრივ გაჟღეტილია გერმანელთა ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი. 6 ქვეგანაყოფის სნაიპერთა ჯგუფმა ამხ. ზალუცკის მეთაურობით გაჟღიტა 15 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სნაიპერებმა ამხ. ყარაკოვმა და კუდრიავცევმა ღამით მტრის საანალმტყორცნო გუნდს მიაგნეს, ხოლო დილით მოსპეს იგი.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენი ნაწილები თავიანთი პოზიციებს ამაგრებდნენ. ერთ უბანზე ჰიტლერელთა მზვერავთა რაზმმა დამოდ სცადა იერიში მოეტანა ჩვენს დასაყრდენ პუნქტზე. 5 ქვეგანაყოფის მებრძოლებმა თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით მოიგერიეს მტრის იერიში და 60-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟღიტეს.

* * *

ქალ. ბელის სამხრეთით 5 ნაწილის მებრძოლებმა მოსპეს მტრის მეავტომატეთა რაზმი, რომელნიც ცდილობდნენ ზურგში მოჭქეოდნენ ჩვენს ქვეგანაყოფებს. სხვა უბანზე 2 დღის განმავლობაში თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით გაჟღეტილია გერმანელთა ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი, რომელიც ცდილობდა დაებრუნებინა ჩვენი ქვეგანაყოფების მიერ დაკავებული და მოწინააღმდეგისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე მაღლობი.

* * *

ორიოლის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმი „სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს“ თავს დაესხა გერმანელთა გარნიზონს. გაიფთრებულ ბრძოლაში პარტიზანებმა 200-მდე ჰიტლერელი მოსპეს და ხელი იგდეს დიდი დავლა. სხვა რაზმის პარტიზანებმა ლიანდაგიდან გადაგდეს მტრის რკინიგზის ეშელონი, მარცხის დროს დაიხოცა და დაიჭრა მრავალი ჰიტლერელი.

* * *

ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა 387-ე ქვეითი დივიზიის 387-ე საარტილერიო პოლკის მე-4 დივიზიონის, ასისტენტმა—ეკიმმა სტეფან კაგერმა განაცხადა: „გერმანიაში ბევრს არა სჯერა ყალბი, აშკარად შემცირებული ცნობები გერმანიის არმიის ზარალის შესახებ.

11 აპრილის საღამოს ცნობა

11 აპრილის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

გასულ კვირაში, 4-დან 10 აპრილამდე ჩათვლით, საჰაერო ბრძოლებში და მოწინააღმდეგის აეროდრომებზე მოსპობილია გერმანელთა 117 თვითმფრინავი. ჩვენ ამავე ხნის განმავლობაში 48 თვითმფრინავი დავკარგეთ.

* * *

10 აპრილს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დაზიანეს გერმანელთა სულ ცოტა 20 ავტომანქანა ჯარებისანად და ტვირთიანად, აფეთქეს სამარა მასალითა 2 საწყობი, ჩაახშეს მოწინააღმდეგის 5 საარტილერიო და სანალმტყორცნო ბატარიის ცეცხლი.

* * *

ბალაკლეის სამხრეთით შეუპოვარი ბრძოლები სწარმოებდა. მოწინააღმდეგე, მიუხედავად მძიმე ზარალისა, რაც მას წინა ბრძოლებში მოუვიდა, ცდილობს შეაჯოროს ჩვენი ჯარები. დღეს დილით გერმანელებმა ბრძოლაში გამოიყვანეს ერთი პოლკი ქვეითი ჯარი, 15 ტანკი და რამდენიმე თვითმავალი ქვემეხი. ჰიტლერელებს ამ უბანზე მნიშვნელოვანი უპირატესობა ჰქონდათ ძალების მხრივ და ეგონათ ერთი დარტყმით ჩაიგდებდნენ ხელში ჩვენს პოზიციებს. საბჭოთა მებრძოლებმა გააფთრებულ ბრძოლაში დიდი ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგეს და აიძულეს იგი უკან დაეხია. გერმანელთა ყველა შემდგომ იერიშებს აგრეთვე წარმატება არა ჰქონია. ბრძოლის შედეგად მოსპობილია გერმანელთა 7 ტანკი და 2 თვითმავალი ქვემეხი. მოწინააღმდეგემ 300-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა მარტო მოკლულთა სახით.

* * *

დასავლეთის ფრონტის ცალკეულ უბნებზე მცირე მზვერავი რაზმები მოქმედებდნენ. თოფ-ტყვიამფრქვევისა და ნაღმსატყორცნთა ცეცხლით მოსპობილია გერმანელთა ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი. 6 შენაერთის, არტილერისტებმა ჩაახშეს მოწინააღმდეგის 5 საარტილერიო ბატარიის ცეცხლი.

* * *

ქალ. ბელის სამხრეთით ჩვენი მზვერავების ჯგუფმა გერმანელთა მცველი რაზმი მოსპო, უეცრად მიიტანა იერიში მოწინააღმდეგეზე და ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ დაიკავა ძლიერ გამაგრებული მაღლობი. ხელჩართულ შეტაკებაში მოსპობილია გერმანელთა 8 გარნიზონი. სხვა უბანზე მზვერავთა რაზმმა მოწინააღმდეგის განლაგებაში შეაღწია და ტანკსაწინააღმდეგო გრანატებით ააფეთქა მტრის ძელმიწური საცეცხლე წერტილი. მზვერავებმა ხელი იგდეს ჰიტლერელთა საჭურველთა და მშვიდობით დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში.

* * *

ყუბანში 5 ნაწილის არტილერისტებმა მოსპეს მტრის 12 ტყვიამფრქვევი. 3 ნაღმსატყორცნი, 1 ქვემეხი და ჩაახშეს მოწინააღმდეგის ყველაზე იმან, რაც ფრონტსა და ზურგში ვაიხე და გავიგე, საბოლოოდ დამარწმუნა ამაში. გასული წლის მარტი ივლისის დამლევიდან სექტემბრამდე 387-ე დივიზიამ ვორონეჟთან 6.000 კაცი დაჰკარგა. ზამთრის ბრძოლებში რუსებმა საბოლოოდ გაანადგურეს დივიზიის ყველა პოლკი. 1942 წლის დეკემბერში მე შვებულებაში ვიყავი ქალ. ბამბერგს და იქ გავიგე, რომ ჩემი სკოლის ამხანაგთაგან 15 კაციდან 13 გაწვეულია არმიაში. აქედან 4 კაცი უკვე მოკლულია, ორი მძიმედ არის დაჭრილი, ერთი კი ტყვედ ჩავარდა. ამრიგად, 13 კაციდან 7 უკვე სამუდამოდ გავიდა მწყობრიდან. ერთმა მეგობარმა მაცნობა, რომ მისმა სოფელმა პირველი მსოფლიო ომის 4 წლის განმავლობაში 7 კაცი დაჰკარგა ყველა ფრონტზე, ხოლო რუსეთის წინააღმდეგ წელიწადნახევრის ომის განმავლობაში უკვე მოკლულია ამ სოფლის 28 მცხოვრები. ეს იყო დეკემბერში, ე. ი. ჯერ კიდევ მანამდე სანამ სტალინგრადთან გერმანიის მე-6 არმიას მოსპობდნენ და ფრონტის სხვა უბნებზე გერმანიის მრავალ დივიზიას განადგურებდნენ. შემთხვევითი როდია, რომ მთავრობამ ტოტალური მობილიზაცია გამოაცხადა გერმანიაში. ყველას ესმის, რომ ეს მობილიზაცია ზედმეტი და არასაჭირო იქნებოდა, გერმანიის არმიის ზარალი გერმანიის ცნობებში გამოქვეყნებულ ციფრებს რომ შეესაბამებოდეს“.

* * *

მიღებულია ცნობა გერმანელი ფაშისტი არამზადების მიერ ქალაქ ნოვოროსიისკში ჩადენილ მხეცობათა შესახებ. ჰიტლერელებმა გაძარცვეს და დაანგრიეს ქალაქი. მთელი ქუჩები ნანგრევებად არის ქცეული. ფაშისტმა ჯალათებმა წამებით დახოცეს, დახვრიტეს და ჩამოახრჩეს ათასობით მშვიდობიანი საბჭოთა მოქალაქე. საგარეუბნო დაბებში—კირილოვკაში, ვლადიმიროვკაში, აგრეთვე აგურის ქარხანაში ჰიტლერელებმა საკონცენტრაციო ბანაკები მოაწყეს სამოქალაქო მოსახლეობისათვის. აგურის ქარხანაში გამართულ ბანაკში ქალაქის 4.000 მცხოვრები იტანჯება. მშიერ და ღონეგამიხდილ ადამიანებს გერმანელები აიძულებენ სხვადასხვა მძიმე სამუშაოს შესრულებას. ამას წინანა საგარეუბნო სოფელ ბორა-სოვკაში ჰიტლერელებმა დახვრიტეს საბჭოთა მეურნეობის „აბრაუ დიურსოს“ 30 მუშაკოლ-შეილიანად. ქალაქში დარჩენილი მცხოვრებნი სარდაფებში ოკუნჭებიან და ბევრი შიშშილით იხოცება.

საბჭოთა ინფორმაციის ბიუროს ცნობა

12 აპრილის ცნობა

12 აპრილის ღამის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

ბალაკლეის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილში ჩვენ ავიაციამ ბომბებით ... ავტომანქანა, 2 ... ტანკი, 2 ... ტანკსაწინააღმდეგო ... ბატარეა, 3 ... ტყვიამფრქვევი, 2